საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 1261/01
10/02/2022

1261-01-2-202202101256

შპს „როუდ ტექნოლოჯის“

მის: ქობულეთი, თავისუფლების ქ. №94
ელ.ფოსტა: Rolandi.lazishvili@gmail.com

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2022 წლის 20 იანვრის №713 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქობულეთის მუნიციპალიტეტში, თავისუფლების ქ. №94-ში, სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან, დაახლოებით 100 მეტრის დაშორებით მდებარეობს შპს „მარდის“ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი. აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე განთავსებულია სასათბურე მეურნეობა. შესაბამისად, სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნას მიმდებარედ არსებულ სათბურზე მოსალოდნელი ზემოქმედების საკითხი;
- დოკუმენტში წარმოდგენილი არ არის საწარმოს ფუნქციონირების პროცესში მოსალოდნელი ხმაურის გაანგარიშების შედეგები;
- დაზუსტებას საჭიროებს დოკუმეტში მოცემული გამწმენდი ნაგებობის (სალექარის) ტექნიკური პარამეტრები;
- სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ საწარმოსთვის საჭირო წყალაღება განხორციელდება მდინარე აჭყვადან, სატუმბი სადგურის მეშვეობით, რომლის შესახებ ინფორმაცია მოცემული არ არის. ასევე, არ არის განხილული, როგორ მოხდება წყლის მიწოდება სატუმბი სადგურიდან საპროექტო ტერიტორიამდე;
- საჭიროა დაზუსტდეს ინფორმაცია საწარმოს ნედლეულით მომარაგებისა და მზა პროდუქციის რეალიზაციის/საწარმოდან გატანისათვის შესასრულებელი სატრანსპორტო ოპერაციების, ასევე, ტრანსპორტირებისთვის საჭირო გზების შესახებ;
- წარმოდგენილ დოკუმენტაციაში დაზუსტებული უნდა იქნეს საწარმოში შემოტანილი ნედლეულისა და მზა პროდუქციის განთავსების შესახებ ინფორმაცია;

- შესწორებულ სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს ზემოაღნიშნულ შენიშვნებზე რეაგირების შესახებ ინფორმაცია, ერთიანი ცხრილის სახით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე